



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 61
26/08/2016

61-07-4-201608261352



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №61

2016 წლის 26 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ მუხლი:

„მუხლი 3¹.

1. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

2. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

3. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით,

ა) სკვერში არსებულ მწვანე ნარგავებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი საარჩევნო პლაკატი ერთ ნარგავზე;

ბ) მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ გარე განათების ბოძზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი საარჩევნო პლაკატი;

გ) მოსაცდელზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს ორი ცალი საარჩევნო პლაკატი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო